ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

XIII 2021

მეაბრეშუმეობა კახეთში (XVII–XVIII სს.)

Silkworm breeding in Kakheti (XVII-XVIII centuries)

რუსუდან კაშია
ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
საჯარო ბიბლიოთეკა
საქართველო, ქუთაისი

Rusudan Kashia
Kutaisi Ilia Chavchavadze Public Library
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Silkworm breeding played an important role in the agricultural life of Kakheti in the XVII-XVIII centuries. It is in the interest of our research, during this period, to present the importance of silk production in the economic life of the kingdom. Kakhetian varieties were produced, such as Kakhetian white, yellow, orange, tarati (thin and thinly woven silk fabric).

In the late Middle Ages, the most important center in Transcaucasia was again the capital city of Shirvan (modern-day Azerbaijan). In addition to kham silk, silk, kamkha, satin, velvet, obiar (silk with gold and silver stripes), etc. were made.

Historical documents from the study period confirm the existence of great demand for silk.

The study of historical documents showed a remarkable picture - Tbilisi merchants exported to Turkey mainly goods imported from the Transcaucasian cities, which are mainly influenced by Iran and Iran. An interesting document in this regard is that Georgian traders want to sell large quantities of raw silk purchased in Gillan in the Turkish city of Izmir.

In 1750 the so-called the same „Dariali Road“ of „Ossetia“ with Russia. The opening of the Dariali Road was preceded by the emergence of new settlements of Georgian merchants in the North Caucasus cities of Kizlar and Mozdok.

The historical material gives a clear confirmation that in the XVIII century. In the second half, there was an established trade network between the Transcaucasia and the cities (yarms) of southern Russia. The first source for getting acquainted with

the first stage of trade and economic relations with Russia is the materials of the Mozdok checkpoint which reports the intensive traffic of individual traders in the Astrakhan and Makarievo markets after the opening of the Dariali Road.

During this period, silkworm breeding was most advanced in Kakheti. Kakheti was locatedon the Gilan-Shemakha-Astrakhan Road, which facilitatedthe foreign trade of the Kingdom of Kakheti.

საკვანძო სიტყვები: მეაბრეშუმეობა, კახეთი, XVII-XVIII საუკუნეები, ვაჭრობა.

Keywords: silkworm breeding, Kakheti, XVII-XVIII centuries, trade.

კახეთის სამეურნეო ყოფაში მეაბრეშუმეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ჩვენ არ შევუდგებით აბრეშუმის მოყვანის ეთნოგრაფიულ აღწერას. ჩვენი კვლევის ინტერესში შედის აღნიშნულ პერიოდში წარმოვადგინოთ აბრეშუმის წარმოების მნიშვნელობა სამეფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

აბრეშუმის ნაწარმის გასაღება ხდებოდა კახეთის ცნობილ ბაზრებზე: თელავში, სიღნაღსა და შუამთაში. აწარმოებდნენ კახურ ჯიშებს, როგორებიც იყო კახური თეთრი, ყვითელი, ნარინჯი, თავთის დარაია (წვრილი და თხლად ნაქსოვი აბრეშუმის ქსოვილი).

XVIII საუკუნის II ნახევარში კახეთის საეკლესიო სოფლებში გვხვდება აბრეშუმის ვაჭრობის პრივილეგიის აღმნიშვნელი ტერმინი „ნოგანი“. მენოგნეთა მონოპოლიას შეადგენდა „სანოგნო“ მოსაკრებელი ვაჭრებისაგან.

1794 წლით თარიღდება საბუთი, სადაც ვკითხულობთ: „კვირა დღეს, შილდას ჩვენ ერთობით ნეკრესელმა და თავადებმა, ეს პირობის წიგნი დავდევით და დავსწერეთ... ვინც ფეიქრები არიან, ან მთიდამ ან ბარიდან ვაჭრის რამე, სალამათს იმას გამოვართმევთ ათორმეტ თუმანსა“ (ბერძენიშვილი 1953: 289). ამ იჯარის ამღებთა გარდა, სხვა ვაჭარი ვერ შედიოდა სოფელში ოთხი თვის განმავლობაში (ივნისი-სექტემბერი), როცა იყიდებოდა ახალი აბრეშუმი.

XVI-XVII საუკუნეებში კახეთის საგარეო ვაჭრობის საგანს სწორედ აბრეშუმი შეადგენდა – ღვინოსთან, ოქროქსოვილებსა და ბედაურებთან ერთად.

„XVII საუკუნეში რუსი ელჩებისათვის მიწოდებული ცნობებით, გიორგი ბატონიშვილი ადასტურებს, რომ აბრეშუმი სხვა ქვეყნებში გადიოდა. ამავე დროს კახეთის მეფე ოსმალეთს წლიურად 30 საპალნე აბრეშუმს უხდიდა.

კახეთის აბრეშუმის მეურნეობის დაწინაურებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ის ახლოს მდებარეობდა გილან-შემახა-ასტრახანის „აბრეშუმის გზასთან“, რომლის საშუალებითაც გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდა“ (ქართველები 2010: 346).

ამიერკავკასიის ქალაქებში სხვადასხვა სახისა და ხარისხის ქსოვილების, მათ შორის აბრეშუმის, წარმოება, უძველესი დროიდან იყო განვითარებული. ამიერკავკასიაში წარმოების დაწინაურებას განაპირობებდა ბამბის კულტურის გავრცელება და მეჯოგეობა-მესაქონლეობის განვითარება, რის შედეგადაც ქალაქის ფეიქრები იღებდნენ საუკეთესო ხარისხის ნედლ მასალას. სათანადო ნედლეულის, კერძოდ ხამი აბრეშუმის, სიუხვე საფეიქრო აბრეშუმის წარმოების აღმავლობას უწყობდა ხელს. მთელ მახლობელ აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებში, ირანულთან ერთად, განთქმული იყო ქართული და შირვანული (ქ. შემახა) აბრეშუმი.

ამ პერიოდში აბრეშუმით ვაჭრობის მთავარ ცენტრებს წარმოადგენდა შემახა, არეში, განჯა, გილანი (ქ. ბაქო ბამბის ქსოვილების წარმოებით იყო დასაქმებული).

XVII საუკუნის წყაროების მონაცემებით, მკვეთრად გაიზარდა ხამი აბრეშუმის წარმოება ირანში, ჩრდილო აზერბაიჯანსა და საქართველოში. ქართული აბრეშუმის მაღალხარისხოვნებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აბრეშუმის წარმოებით განთქმული ირანი ხარკს ქართლ-კახეთის სამეფოებიდან აბრეშუმის სახით იღებდა.

ამიერკავკასიის ქალაქებში მზადდებოდა მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილები: ფარჩა, თავთა, დარაია, სარტყლები, გადასაფარებლები, მარმაში (კუცია 1976: 100, 102).

აბრეშუმის გატანა-შემოტანაზე 1639 წელს როსტომ მეფის „თბილისის ბაჟის“ ნუსხაში დაწესებული იყო ფულადი გადასახადი (ფუთურიძე 1955: 149).

გვიან შუასაუკუნეებში ამიერკავკასიაში უმნიშვნელოვანეს ცენტრს კვლავ შირვანის (დღევანდელი აზერბაიჯანი) სატახტო ქალაქი შემახა წარმოადგენდა. გარდა ხამი აბრეშუმისა, მზადდებოდა აბრეშუმი, ქამხა, ატლასი, ხავერდი, ობიარი (აბრეშუმი ოქროს და ვერცხლის ზოლებით) და სხვ.

ამ პერიოდის ქართულ ისტორიულ საბუთებში ხშირად იხსენიება შემახური საქონელი: შემახური ყუთნი, „რაჰან მოვი“ – „ყვითელი მოვი“, მუარი, ყანაოზი, ზარბაბი (ოქროქსოვილი ფარჩა) და სხვ. (ბერძენიშვილი 1953: 88).

საქართველოში დარგის განვითარებას ხელს უწყობდა თუთის ხის (ბჟოლის) გავრცელება. განსახილველ პერიოდში ოსეფა ყორღანაშვილის ინიციატივით მდინარე ხრამზე – ქოლაგირის ციხის მიდამოებში თუთის ხეების პლანტაცია გაუშენებიათ და დიდი რაოდენობით აბრეშუმი მოუყვანიათ (კაკაბაძე 1914: 109).

საგარეო ვაჭრობაში ამ დარგის მნიშვნელობაზე მეტყველებს სახელმწიფო სამართლის ოფიციალურ დოკუმენტში – „დასტურლამალში“ მოცემული ბაჟების ნუსხა, რომელშიც „ბათმანი აბრეშუმი“ და „საპალნე აბრეშუმია“ ნახსენები. საპალნეზე გადასახადია 2 მინალთუნი. ამავე წყა-

როში ხშირად იხსენიება აბრეშუმის მეურნეობისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, ბოლნისის, შულავერისა და თეთრი სოფლის ბატონის და მოხელეთა „გამოსაღების“ საგნად დასახელებულია ორი კვერცხი ყაჭი (ნაცარტუტაში გამოხარშული აბრეშუმის ჭიის პარკი ძაფად ამოხვეული), ასევე მანჯანიკზე (აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი ორკაპა ჯოხი) თითო სტილი აბრეშუმი.

საკვლევი პერიოდის ისტორიული საბუთები გვიდასტურებს აბრეშუმზე დიდი მოთხოვნილების არსებობას. 1703-1716 წლებით თარიღდება ბრძანება იმამყულიხანისა ენისელთ მოურავ მერაბისადმი აბრეშუმზე ყადაღას დადების შესახებ: „აწე ენისელში ჩვენს სახასოს, თუ საბატონო კაცის შვილს ყმას აბრეშუმი დაეჭიროს, მანამდე ჩვენს კარზე ნიხრი არ გავაკვეთინოთ, ან სოფელში სომეხს არ მიყიდონ და ან სხვაგან არ წაიღონ გასაყიდად, ძალიანი ყადაღა მოიტანონ, აქ ჩვენს კარზედ, ბაზარში გაყიდონ (ხეც Hd–3854).

1710-1711 წლებშია დაწერილი აბრეშუმის ბაჟის წყალობის წიგნი თეიმურაზ ბატონიშვილისა შუამთის ვაჭრებისადმი – „გომბორზედ გადმომავლისა და გარდამავლის ვაჭართ აბრეშუმის საპალნეზედ ბაჟი ხუთი აბაზი, სხვა წვრილმანს სავაჭროსი ჩვენ ბაჟი მართებულად გამორთმეოდეს“ - ვკითხულობთ საბუთში (ცსა 1448–2306).

ისტორიული საბუთების შესწავლამ საყურადღებო სურათი გვიჩვენა: თბილისელ ვაჭრებს თურქეთში ძირითადად ირანისა და ირანის გავლენაში მყოფი, ამიერკავკასიის ქალაქებიდან შემოტანილი საქონელი გააქვთ. ამ მხრივ საინტერესოა დოკუმენტი, რომლის თანახმად ქართველმა ვაჭრებმა გილანში შეძენილი დიდი რაოდენობით ნედლი აბრეშუმი თურქეთის ქალაქ იზმირში უნდა გაყიდონ.

ცხოველი მიმოსვლა ჩანს სავაჭრო-საქარავნო გზაზე, რომელიც განჯასა და არზრუმს აკავშირებს. ცხადია, იგი ქართლ-კახეთის სამეფოზე გაივლიდა, 1736 წლით დათარიღებულ „ქალაქის ბაჟის, ციხის კარის შართლამაში“ ვკითხულობთ: „რაც მოქალაქემ განჯიდან აბრეშუმი მოიტანოს და არზრუმისაკენ წაიღოს, აქლემისა და ცხენისა, თუ ჯორის საპალნეზედ ორი მინალთუნი“ (ქსძ 1965: 101).

საინტერესო მასალას გვაწვდის „საამხანაგო წიგნი“, სადაც მოცემულია ქართველი ვაჭრების – სტეფან ასლანოვისა და დათოას სავაჭრო ობიექტების ანგარიში: მათ სამასი თუმნის ბეწვეული და ჩითი გაუყიდიათ ბაქოში. იქ შეუძენიათ „ხუთასი თუმნის ზარბაბი (ოქროქსოვილი) და აბრეშუმი“ (ხეც Hd–3516).

1750 წელს ამოქმედდა ე. წ. „ოსეთის“, იგივე „დარიალის გზა“ რუსეთთან. „დარიალის გზის“ გახსნას წინ უძღოდა ქართველი ვაჭრების ახალშენების გაჩენა ჩრდილო კავკასიის ქალაქებში: ყიზლარსა და მოზდოკში (კაციტაძე 1982: 52). 1735 წელს გენერალმა ლევაშოვმა მდ. თერგის ხეობაში დააარსა ციხესიმაგრე ყიზლარი, სადაც პირველი რუსული აბრეშუმის საწარმო გაიხსნა.

ინტენსიური ხასიათი მიიღო ქართველი ვაჭრების მიმოსვლამ რუსეთის ქალაქებში – მოზდოკსა და ასტრახანში, მაკარიევოსა და ნიჟეგოროდის ბაზრობებზე. აქ გაჰქონდათ აბრეშუმი, საღებავები (განსაკუთრებით ენდრო), ბამბა და ბამბის ქსოვილები. აღმოსავლური ხელოსნობის ნაწარმი რუსეთის ბაზრებზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა (სამსონაძე 1980: 123).

ყურადღებას იპყრობს 1797 წლის საამხანაგო წიგნი, რომლითაც უსტიანეს შვილი ნაზარა უამხანაგდება ორ ძმას – ავეტიქასა და იოანეს: „როგორც ხეირათი ვნახო, გავყიდო სპილენძი, ვიყიდო, მაგრამ იქნება, რომ ხელდახელ გაიყიდოს ზარბაბი აბრეშუმი და მაკარიევოს (რუსული ბაზრობა ნიჟნი-ნოვგოროდში) მივასწრობდე“ – ვკითხულობთ საბუთში (ცსა 448: საქმე 5315).

ისტორიული მასალა იძლევა ნათელ დადასტურებას, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში არსებობდა ჩამოყალიბებული სავაჭრო ქსელი ამიერკავკასიასა და სამხრეთ რუსეთის ქალაქებს (იარმარკებს) შორის. რუსეთთან სავაჭრო ეკონომიკური კავშირის პირველი ეტაპის გასაცნობად უპირველეს წყაროს წარმოადგენს მოზდოკის გამშვები პუნქტის მასალები, სადაც მოხსენიებულია „დარიალის გზის“ გახსნის შემდეგ ცალკეული ვაჭრების ინტენსიური მიმოსვლა ასტრახანსა და მაკარიევოს ბაზრობაზე. საქონლის ჩამონათვალში ჭარბობს ნედლი აბრეშუმი, აბრეშუმის ქსოვილები, ტილო, მელიისა და კვერნის ბეწვი და ა. შ. ნათელი სურათის შესაქმნელად გავეცნოთ რამდენიმე დოკუმენტს: 1780 წლის ჩამონათვალში მითითებულია, რომ ვაჭარ პეტრე ოსიპოვს (მოზდოკის გამშვებ პუნქტში ქართული გვარები რუსული დაბოლოებით არის მითითებული) მიაქვს 80 ფუთი აბრეშუმი და 500 ცალი თეთრი ბიაზი. თბილისელ სომეხ ვაჭარს ფარსადანს გააქვს ასტრახანში 66 ფუთი აბრეშუმი, 20 შეკვრა ტილო, 100 ცალი მელიის ბეწვი და ა.შ.

ვაჭარ შაკაროვს სავაჭროდ მიაქვს 10 ფუთი აბრეშუმი, 20 შეკვრა ტილო, სხვადასხვა ფერის თავსაფრები, მელიის ბეწვი და დამარილებული თევზი. მასალის სიმრავლის გამო ყველა საბუთის ჩამოთვლას არ შევუდგებით.

ამდენად, აღნიშნულ პერიოდში მეაბრეშუმეობა ყველაზე მეტად კახეთში იყო დაწინაურებული. კახეთი მდებარეობდა გილან-შემახა-ასტრახანის გზაზე, რაც ხელს უწყობდა კახეთის სამეფოს საგარეო ვაჭრობის გააქტიურებას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბერძენიშვილი 1953: ბერძენიშვილი ნ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II. თბილისი, 1953.

კაკაბაძე 1941: კაკაბაძე ს., საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ XVIII ს.-ში. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I. თბილისი, 1941.

კუცია 1984: კუცია კ., ამქრები საქართველოს ქალაქებში. თბილისი, 1984.

სამსონაძე 1980: სამსონაძე მ., სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX ს.-ის I მესამედის საქართველოში. თბილისი, 1980.

ფუთურიძე 1955: ფუთურიძე ვ., ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. თბილისი, 1955.

ქართველები 2016: ქართველები (სამაგიდო წიგნების ათეული). თბილისი, 2016.

Гамрекели 1980: Гамрекели В., Документы по взаимоотношениям Грузии с северным кавказом, Тб., 1968.

ქსძ 1965: ქართული სამართლის ძეგლები (გამოცემა ი. დოლიძისა), II. თბილისი, 1965.

ცსა: ცენტრალური საისტორიო არქივი, 1448-2306; 448: საქმე 5315.

ხეც: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-3854.